2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	კაპიტალის ჯამი
2022 წლის 31 დეკემბერი	<u>10,000</u>	<u>1,236,516</u>	<u>(309,269)</u>	<u>937,247</u>
წლის მთლიანი შემოსავალი	-	1,331,580	-	1,331,580
სხვა რეზერვი	-	-	410,66	410,661
2023 წლის 31 დეკემბერი	<u>10,000</u>	<u>2,568,096</u>	<u>101,392</u>	<u>2,679,488</u>
წლის მთლიანი შემოსავალი	-	(71,761)	-	(71,760)
სხვა რეზერვი	-	-	(2,162)	(2,162)
2024 წლის 31 დეკემბერი	<u>10,000</u>	<u>2,496,425</u>	<u>99,230</u>	<u>2,605,656</u>

სეიმურ ჯალალოვ / ხელმოწერილია

დირექტორი

თბილისი, საქართველო

ბეჭედდასმულია / შპს „აღმეთ თრეიდიგ ჯორჯია“, ს/კ 405264459/

6-19 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.



შპს „ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია“ („კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 18.04.2018 წელს რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. #22.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფოლადის ნაწარმის ფართო ასორტიმენტის მიწოდება, მათ შორის შაბლონები, ბრტყელი და გრძელი რულონები, სტრუქტურული ფორმები და სექციები, არმატურა და სხვა.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიის აქციონერები არიან:

	2024 წლის 31 დეკემბერი მფლობელობა %	2023 წლის 31 დეკემბერი მფლობელობა %
სს „ალმეთ ჰოლდინგ“	75%	75%
ვიდადი ჯალალოვ	25%	25%
სულ	100%	100%

კომპანია სრულად კონტროლდება ფიზიკური პირის ბ-ნი შირინ ჯამალის მიერ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიში მომზადებულია უწყვეტი საქმიანობის დაშვებით, რაც ნიშნავს, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას უახლოეს მომავალში.

ფინანსური ანგარიში მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიში წარმოდგენილია ქართულ ლარში და თანხები მრგვალდება სრულ ლარამდე.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას მოახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშო პერიოდის ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. შეფასებები პერიოდულად განიხილება. კორექტირება, რამაც გამოიწვია ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში, შედის იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ეს ცვლილებები მოხდა.

3. აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მომზადების ძირითადი ბუღალტრული წესები მოცემულია ქვემოთ:

შესავალი

კომპანიის ფინანსური წელი სრულდება დეკემბრის ბოლო დღეს. კომპანია ადგენს ფინანსურ ანგარიშს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ინფორმაცია მომზადებულია ამ ანგარიშის თარიღისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და სავარაუდოდ გამოყენებული იქნება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის. IFRS ექვემდებარება მუდმივ განხილვას ან შესაძლო ცვლილებას ბუღალტრული აღრიცხვის



შპს "ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (IFRIC) ინტერპრეტაციული ხელმძღვანელობით და, შესაბამისად, კვლავ ექვემდებარება ცვლილებას. IFRS მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება განახლდება და ხელახლა იქნება განხილული, საჭიროებისამებრ, ასეთი ცვლილებების შემთხვევაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიში მომზადდა იმ ვარაუდით, რომ კომპანიას შეეძლება გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა უახლოეს მომავალში.

მენეჯმენტის თვალსაზრისით კომპანია განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში, არ არსებობს არც ლიკვიდაციის, ვაჭრობის შეწყვეტის ან კრედიტორებისგან დაცვის მოთხოვნის აუცილებლობა საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. შესაბამისად, აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება იმის საფუძველზე, რომ კომპანია შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების შესრულებას ნორმალურ საქმიანობაში. ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი პუნქტი შეიცავს აშკარა მოთხოვნას, რომ მენეჯმენტმა მოახდინოს კომპანიის მუდმივი მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობების კონკრეტული შეფასება და შეიმუშაოს სტანდარტები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით და უზრუნველყოს ინფორმაციის გამჟღავნება მუდმივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტის შეფასება მუდმივი საქმიანობის დაშვების შესახებ გულისხმობს შეფასებას, დროის კონკრეტულ მომენტში, მოვლენების ან პირობების სამომავლო შედეგის შესახებ, რომლებიც არსებითად გაურკვეველია.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისაგან.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

მომსახურების გაწევა ხდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა დავალიანებებს ტრანზაქციის ფასის მიხედვით. შემდგომში ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება იმის დასადგენად, არის თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. რაიმე მითითების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ, შემდგომ პერიოდში, გაუფასურების ზარალის ოდენობა მცირდება და შემცირება შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, საწარმო აბრუნებს ადრე აღიარებულ გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. ისე რომ გაუფასურების აღდგენის შემდეგ ფინანსური აქტივის ღირებულება (საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით) არ აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, გაუფასურება რომ არ ყოფილიყო ადრე აღიარებული. საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს აღდგენილ თანხას მოგებაში ან ზარალში.

კომპანია არ აღიარებს ფინანსურ აქტივს, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები იწურება ან იხსნება;



შპს “ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

ბ) საწარმო სხვა მხარეს გადასცემს არსებითად ყველა რისკს და ფინანსურ აქტივებზე მფლობელობის ხარგებელს; ან

გ) საწარმომ, მიუხედავად იმისა, რომ შეინარჩუნა საკუთრებაში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, აქტივზე კონტროლი გადასცა სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება არის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების შეძენით ჩვეულებრივი მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების არადისკონტირებული ოდენობით.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით, ტრანზაქციის ხარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომელშიც ის წარმოიშვა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯები.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ამოიწურება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულია, უქმდება ან იწურება.

ქონება და აღჭურვილობა

ქონება და აღჭურვილობა აისახება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების და მიყენებული ზარალის გამოკლებით.

ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ქონების და აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების ისტორიულ ღირებულებიდან გამომდინარე და შექმნილია აქტივების ჩამოწერაზე მათი სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში. სავარაუდო სასარგებლო ვადა, წარჩენი ღირებულებები და ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდი განიხილება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტით აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე შემდეგი წლიური დადგენილი განაკვეთებით:

სატრანსპორტო საშუალებები	10%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
დანადგარები და აღჭურვილობა	10%
არამატერიალური აქტივები	33%

ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში.

რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დარიცხვა ხდება მათი გაწევის დროს და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.



შპს „ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ბანკებში შენახულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდურობის ინვესტიციებს, თავდაპირველი ვადით სამი თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია იყენებს რეზერვის მატრიცას. რეზერვის განაკვეთები ეფუძნება ვადაგადაცილებულ დღეებს სხვადასხვა მომხმარებელთა სეგმენტების დაჯგუფებისთვის, რომლებსაც აქვთ მსგავსი ზარალის ნიმუშები (მაგ. გეოგრაფიის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის ტიპისა და რეიტინგის მიხედვით).

რეზერვის მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება კომპანიის ისტორიულად დაკვირვებულ დეფოლტის განაკვეთებს. კომპანია დააკალიბრებს მატრიცას, რათა მოახდინოს ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილების რეგულირება მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციასთან.

კორექციის შეფასება ისტორიულად დაკვირვებულ დეფოლტის განაკვეთებს, საპროგნოზო ეკონომიკურ პირობებსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის ძალიან მნიშვნელოვანია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა რეაგირებს გარემოებების და საპროგნოზო ეკონომიკური პირობების ცვლილებებზე. კომპანიის საკრედიტო ზარალის ისტორიული გამოცდილება და ეკონომიკური პირობების პროგნოზი შესაძლოა ასევე არ იყოს სამომავლოდ კლიენტის ფაქტობრივი დეფოლტის გამოხატულება.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ მომავალში კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა წინასწარი გადახდები ჩაიწერება მოგებაში ან ზარალში წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების დროს.

თუ არსებობს იმის მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

ინვენტარი

ინვენტარის ფასი განისაზღვრება თვითღირებულებით ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ მიმდინარეობაში, დასრულების და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ინვენტარიზაციაში შემავალი თვითღირებულების ელემენტები მოიცავს მასალების შეძენის ყველა ხარჯს და სხვა ხარჯებს,



შპს "ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

რომლებიც გაწეულია მარაგების ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისას. მარაგების ღირებულება განისაზღვრება ყოველთვიური საშუალო შეწონილის საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში, აღიარებულია რეზერვი მოძველებული და ნელა მოძრავი ინვენტარისთვის. გაუფასურება, რომელიც დარიცხულია ინვენტარის საბალანსო ღირებულების მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე შესამცირებლად და რეზერვი მოძველებული და ნელა მიმდინარე მარაგისთვის, შედის მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც ადმინისტრაციული ხარჯები.

სავაჭრო და სხვა დებეტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებეტორული დავალიანება დარიცხულია კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

მიღებული წინასწარი გადახდები

კლიენტებისგან მიღებული წინასწარი გადახდები ეხება ნივთს, რომელიც თავდაპირველად აღირიცხება როგორც ვალდებულება, მაგრამ მოსალოდნელია, რომ დროთა განმავლობაში და/ან საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში გახდება აქტივი. კლიენტებისგან მიღებული წინასწარი გადახდები თავდაპირველად აღირიცხება მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ამას დამატებული ნებისმიერი უშუალოდ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები, და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი არის დამფუძნებლების მიერ შეტანილი კაპიტალის ოდენობა. კომპანიას შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი კანონის შესაბამისად დამფუძნებლების თანხმობით.

რეზერვები

რეზერვები აღიარებულია, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს ამჟამინდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და სავარაუდოა, რომ რესურსების გადინება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად და შეიძლება მოხდეს ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

რეზერვში აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წინამდებარე ვალდებულების დასაფარად საჭირო ანაზღაურების საუკეთესო შეფასება, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც რეზერვი ფასდება ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენებით, რომლებიც შეფასებულია წინამდებარე ვალდებულების დასაფარად, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულება (სადაც ფულის დროული ღირებულების ეფექტი არსებითია).

როდესაც მოსალოდნელია, რომ რეზერვის დასაფარად საჭირო ზოგიერთი ან ყველა ეკონომიკური სარგებელი ანაზღაურდება მესამე მხარის მიერ, დებეტორული დავალიანება აღიარებულია აქტივად, თუ პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა სხვა სუბიექტების წლიური მოგება არ იბეგრება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან. დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გადასახადი იმ პირებზე, რომლებიც არიან საქართველოს ფიზიკური ან არარეზიდენტი აქციონერები, იბეგრება კორპორაციის მოგების გადასახადით. განაკვეთი არის წმინდა განაწილების 15/85.



შპს “ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

კორპორაციის მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისგან, აღირიცხება როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად პერიოდის გადახდის თარიღისა, როდესაც ხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ გარემოებებში, ხელმისაწვდომია დაქვითვები გადასახდელი მოგების გადასახადიდან, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტებზე არ წარმოიქმნება გადასახდელი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს კორპორაციის მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მიჩნეულია მოგების განაწილებად (მაგალითად, გარიგებები არასაბაზრო ფასებში, ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არაა ბიზნესთან ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდება). ასეთი ტრანზაქციების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და აისახება, როგორც სხვა გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა „სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ანგარიშგებაში“.

დამატებითი ღირებულების გადასახადები

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“) გადაიხდება საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის გაგზავნისას ან მომსახურების გაწევისას. გადახდილი დღგ აღიარებულია მიმწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას, მაგრამ გაყიდვების დღგ ანაზღაურებადია მხოლოდ ასეთი ანგარიშ-ფაქტურის გადახდის შემთხვევაში. კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული დღგ აისახება საინვესტიციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში, ხოლო საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში.

მოგების აღიარება

IFRS 15 ადგენს ხუთსაფეხურიან მოდელს სამომხმარებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვისთვის. IFRS 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარებულია იმ თანხით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომლის უფლებასაც ერთეული მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც ან როდესაც კომპანია ასრულებს შესრულების ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. საქონლის ან მომსახურების მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი აკონტროლებს ამ საქონელს ან მომსახურებას. შემოსავალი აღირიცხება დღგ-ს და ნებისმიერი ფასდაკლების გარეშე. კომპანიის შემოსავლის წყაროა შემოსავალი საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც იწვევს კაპიტალის შემცირებას, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალის მოთხოვნების მფლობელებთან განაწილებასთან. დანახარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გატარებისთანავე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ისინი ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რესურსების გადინების შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, არ არის შორეული.

პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ გამჟღავნებულია, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოღინება სავარაუდოა.



შპს "ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ის ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის აშშ დოლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციური ვალუტისგან (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გაცვლის შედეგად წარმოქმნილი სავალუტო სხვაობები წარმოდგენილია მოგება-ზარალში - „გაცვლითი კურსის სხვაობებიდან მიღებული სუფთა მოგება/ზარალი“.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი პუნქტები, რომლებიც აღიარებულია თვითღირებულების მიხედვით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის განსაზღვრული გაცვლითი კურსით.

საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები ფინანსური ანგარიშის მომზადებისას არის შემდეგი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ/ლარი	2.8068	2.6894

4. კრიტიკული საზღვალტრო შეფასებები და განსჯები საღირცხო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრული იქნება მოცემულ ვითარებაში. საღირცხო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მენეჯმენტი ასევე აკეთებს გარკვეულ შეფასებებს. შეფასებები, რომლებსაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავენ:

ქონებისა, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრა მენეჯმენტის განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავსი აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ განიხილა მოსალოდნელი მოხმარება, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, რომელშიც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ამორტიზაციის განაკვეთების კორექტირება.

უიმედო დავალიანების ნებართვა

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის შეფასებას, მოსალოდნელია თუ არა ფულადი სახსრები გარკვეული მომხმარებლებისგან. ამ რეზერვის შეფასებით, მენეჯმენტის გადაწყვეტილება ეფუძნება დებიტორული ნაშთების ხანდაზმულობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკაში, მრეწველობაში ან კლიენტის კონკრეტულ პირობებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.



შპს "ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებსა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინტერპრეტაცია შეიძლება არ შეესაბამებოდეს კომპანიის მენეჯმენტის ინტერპრეტაციას. ამის გამო, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვემდებარებოდნენ ტრანზაქციები და კომპანიას დააწესონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პირგასამტეხლო. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ კომპანიის წინა სამი კალენდარული წლის საქმიანობა. ზოგიერთ შემთხვევაში, შემოწმება შეიძლება მოიცავდეს უფრო მეტ პერიოდს.


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია და საგადასახადო პოზიციის მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ბალანსი და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად დაკავშირებული მხარეების განმარტება მოცემულია პუნქტში 24 „ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების შესახებ“. მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად განიხილება, თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი, არის საერთო კონტროლის ქვეშ, ან შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო მონათესავე მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის არსი იმ დაკავშირებული მხარეებისთვის, რომლებთანაც კომპანიას ჰქონდა ტრანზაქციები ან ჰქონდა ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეტალურად აღწერილია ქვემოთ:

2024 წლის 31 დეკემბერი		
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშების მიხედვით
სავაჭრო და სხვა დებეტორული დავალიანება		2,282,898
- დაკავშირებული მხარეები	337,600	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		129,027
- დაკავშირებული მხარეები	11,641	
სესხები და კრედიტები:		1,508,158
- დაკავშირებული მხარეები:	-	
წინასწარი გადახდები		790,749
- დაკავშირებული მხარეები	-	
მიღებული ავანსები		752,165
- დაკავშირებული მხარეები	326,051	
2023 წლის 31 დეკემბერი		
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშების მიხედვით
სავაჭრო და სხვა დებეტორული დავალიანება		3,081,449
- დაკავშირებული მხარეები	598,260	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		1,467,744
- დაკავშირებული მხარეები	273,369	
სესხები და კრედიტები:		1,245,742



(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

1

897,663

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშში შედის შემდეგი თანხები, რომლებიც წარმოიშვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების გამო:

3060 NON FINANCIAL SE

შპს "ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

6. ქონება და აღჭურვილობა

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება იყო შემდეგი:

	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	ავთო და აღჭურვილობა	მანქანები და აღჭურვილობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	146,658	25,908	2,441	93	175,100
დამატება	211,219	19,309	11,181	124	241,833
განკარგვა	(210,916)	(786)	(311)	(217)	(212,230)
	146,961	44,431	13,311	-	204,703
2023 წლის 31 დეკემბერი	-	574	492	-	1,066
დამატება	-	-	-	-	-
განკარგვა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	146,961	45,005	13,803	-	205,769
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(671)	(1,997)	(119)	-	(2,787)
წლის დარიცხვა	-	(14,899)	(1,686)	-	(16,585)
გამოყენებული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(671)	(16,896)	(1,805)	-	(19,372)
წლის ხარჯი	-	(8,508)	(2,623)	-	(11,131)
გამოყენებული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(671)	(25,404)	(4,427)	-	(30,503)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	145,987	23,911	2,322	93	185,331
2023 წლის 31 დეკემბერი	146,290	27,535	11,506	-	185,331
2024 წლის 31 დეკემბერი	146,290	19,601	9,376	-	175,266



(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)



323

შპს "ალმეთ თრედიინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

	თანხა
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(49,703)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღნიშნული პერიოდისთვის	(130,073)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(179,776)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღნიშნული პერიოდისთვის	-
გამოყენებული წლის განმავლობაში	65,758
რეკლავიციფიცირებული წინასწარი გადახდებისთვის	23,040
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(90,978)

11. წინასწარი გადახდები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხა	813,789	364,982
დაკავშირებული მხარეებისთვის წინასწარ გადახდილი თანხა	-	555,721
გამოკლებით: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვი	(23,040)	(23,040)
წინასწარი გადახდების ჯამი	790,749	897,663

კომპანიამ წინა წლებში აღიარებული რეზერვიდან ჩამოწერა 411,159 ლარი ლარის ოდენობის წინასწარი გადახდის ბალანსი.

წინასწარი გადასახადებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობები შემდეგია:

	თანხა
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(411,159)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები პერიოდისთვის	(23,040)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	434,199
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები პერიოდისთვის	-
წლის განმავლობაში გამოყენებული	411,159
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(23,040)

12. ინვენტარი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
არმატურა	55,418	654,558
პროფილი	1,023,821	248,999
მარტივი რგოლი	21,669	30,677
სხვა ინვენტარი	-	28,816
ინვენტარის ჯამი	1,100,908	963,050

ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ინვენტარის შესამენად და მათ არსებულ მდგომარეობასა და მდგომარეობამდე მიტანისას.

13. საგადასახადო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დავალიანება მესამე პირებთან	128,979	1,188,547
სავაჭრო დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან	-	273,369
სავაჭრო დავალიანების ჯამი	128,979	1,461,916
თანამშრომელთან დაკავშირებული დავალიანება	48	5,828
საგადასახადო და სხვა დებიტორული დავალიანების ჯამი	129,027	1,467,744



შპს "ალმეთ თრედინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

14. მიღებული ავანსები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა მომხარებლებისაგან მიღებული ავანსები	426,114	-
დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული ავანსები	326,051	-
სხვა მიღებული ავანსები	752,165	-

15. სესხები და კრედიტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ს/ს „თიბისი ბანკი“, სესხი	-	1,254,020
ს/ს „თიბისი ბანკი“, სესხი (დარიცხული პროცენტი)	-	722
საქართველოს ბანკი, სესხი	1,508,158	-
საქართველოს ბანკი (დარიცხული პროცენტი)	-	-
სესხების და კრედიტების ჯამი	1,508,158	1,254,742

კრედიტებისა და სესხების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება შესაბამის ფულად და უნაღდო ცვლილებებთან საფინანსო საქმიანობიდან მოცემულია ქვემოთ:

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეო ბით	ნაღდი ფულის ნაკადი	ნაღდი ფულის ნაკადი	ნაღდი ფულის ნაკადი	უნაღდო ცვლილებები	უნაღდო ცვლილებები	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ნასესხები თანხა	ძირითადი გადახდილი თანხა	გადახდილი პროცენტი	პროცენტის ხარჯი	ვალუტის გაცვლის სხვაობა	
ბანკის სესხი	1,254,742	24,524,759	(24,423,222)	(389,012)	387,904	152,987
	1,254,742	24,524,759	(24,423,222)	(389,012)	387,904	152,987

2024 წლის 27 ივნისს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან 2,000,000 აშშ დოლარის ოდენობით 9% ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთით.

16. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გამოშვებული, ავტორიზებული და სრულად გადახდილი სააქციო კაპიტალი შეადგენდა 10 000 ლარს.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები შედგება უცხოური ვალუტის გაცვლის რეზერვს. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი/(ზარალი) წლისთვის სრულად მიეკუთვნება ვალუტის გაცვლის რეზერვს.

17. შემოსავლები

	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
შემოსავლები საჩონლის გაყიდვიდან	26,399,320	49,610,498
შემოსავლები ტრანსპორტირების მომსახურებიდან	36,557	-
შემოსავლების ჯამი	26,435,877	49,610,498



შპს "ალმეთ თრედინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)

18. გაყიდვების ღირებულება

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გაყიდვების ღირებულებამ შესაბამისად შეადგინა 24,381,930 და 45,629,543 ლარი.

19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
სახელოსო ხარჯი	533,903	287,737
ქირავნობის ხარჯი	130,169	122,542
სამგზავრო ხარჯი	127,692	146,033
ტრენინგები და პერსონალური განვითარება	120,490	15,768
საბანკო გადასახადი	56,765	47,106
თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	47,735	-
ბიზნესის განვითარების ხარჯები	35,316	2,525
პროფესიონალური მომსახურება და ხელმოწერები	14,547	39,511
ცვითის ხარჯები	12,987	17,846
საწვავის ხარჯები	11,779	8,908
საოფისე ხარჯები	10,307	15,365
საკომუნიკაციო ხარჯები	9,492	6,378
კომუნალური ხარჯები	8,164	2,293
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები	7,455	10,717
საფოსტო, სატრანსპორტო და ნოტარიუსის ხარჯები	6,128	636
სადაზღვევო ხარჯები	3,978	3,029
საკონფერენციო ხარჯი	1,554	6,372
სხვა საოპერაციო ხარჯები	85,030	273,246
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,223,491	1,006,012

20. გაყიდვის ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ტრანსპორტირების ხარჯები	346,132	811,559
რეკლამა და საკომისიო	244,175	419,453
გაყიდვის ხარჯების ჯამი	590,307	1,231,012

21. საფინანსო ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	387,904	367,361
საპროცენტო ხარჯი ვაჭრობის დაფინანსებაზე	29,089	-
საფინანსო ხარჯების ჯამი	416,993	367,361

22. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.



მთავარი მენეჯერი: *გიორგი ხუტა*

სანოტარო აქტი

ორიათასოცდახუთი წლის ოცდახუთ სექტემბერს მე, ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2, ვამოწმებ მთარგმნელის თინათინ სესაძის (დაბადებული 19.03.1977წ. მცხ: ქ. თბილისი, მუხიანის III მ/რ კორპ. 22. ბინა 11, პირადი #01003002043) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელმა წარმოადგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი აა 0046385, გაცემული 1999 წელს ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. დასავლეთ ენათა და კულტურათა სახ. ინსტიტუტის მიერ, სარეგისტრაციო #273). მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარგმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. შემდეგ მან თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.


გადახდილია 72.26 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 57.00 ლარი (დამოწმდა 19 ხელმოწერა), დღგ 10.26 ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საზღაური 5.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

Notary Act

On twenty fifth day of September of two thousand and twenty five, I, notary Ekaterine Jeladze, notary office located at 49-51-51a Ak. Tsereteli Ave., floor 2, Tbilisi, confirm the authenticity of signature of the translator Ms. Tinatin Sesadze (born on 19.03.1977, residing in Apt. 11, Block 22, 3 M/R, Mukhiani, Tbilisi, Personal #01003002043). The Translator submitted the document certifying the English language qualification (Diploma AA 0046385 issued in 1999 by Tbilisi Ilia Chavchavadze State Institute of Western Languages and Culture, registration #273). I, the notary, warned the translator on the responsibility she would bear for an inaccurate translation. The translator declared in my presence that she guaranteed the authenticity of translation. Thereafter she signed the translation in my presence.

Paid 72.26 GEL, inclusive 57.00 GEL (certified 19 signatures) for notary service fee, VAT 10.26 Gel and 5.00 GEL for registration in notary's electronic register according to Articles 31 and 39 of the Resolution № 507 (December 29, 2011) of the Government of Georgia "On Approval of the Amounts of Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms of Service", also according to Article 166 of the Tax Code of Georgia.

ნოტარიუსი
Notary

 ეკატერინე ჯელაძე
Ekaterine Jeladze

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N251303105



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

25.09.2025 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ეკატერინე ჯელაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი
№49-51-51ა, სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2434380

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

70832975332325



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-
გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

